ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0901/10/052

ქ. თბილისი 28 ივნისი 2011 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, გამგებლის თ. გრიგალაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „მვპ" (შემდგომში წოდებული, როგორც "მიმწოდებელი"), მენეჯერის ი. ლეჟავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია რაიონის ბიუჯეტის სახსრებით, სატენდერო განცხადების განთავსება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი 79800000).

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია 35 ერთეული სატენდერო განცხადების განთავსება გაზეთში „24 საათი" (პერიოდი 2011 წლის 9 თებერვალი – 2011 წლის 9 ივნისი).

3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს, მომსახურების თანმდევი სხვა ხარჯების ღირებულების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. გასაწევი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება როგორც წესი მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე;
6.3. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;
7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება;
8.2. ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი;
8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ შეუსრულებელ დღეზე აღნიშნული პერიოდისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.15%-ის ოდენობით;
9.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების 7.1-ის მოთხოვნებს, მას ეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0.15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებლები თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულის ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდე;
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე;
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია (გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან 2011 წლის 12 ივლისამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მიქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები და ბეჭედი

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა	შპს „მვპ“
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1	მის. ქ.თბილისი, კოსტავას 68
სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ა/ა GE95LB 0125152101627000 კოდი LBRTGE22 საიდენტ. კოდი 208204959	სს „თი ბი სი ბანკი“ ა/ა GE24TB0600000018467568 კოდი TBCBGE22 საიდენტ. კოდი 204465131
გამგებელი	**მენეჯერი**
_____ თ. გრიგალაშვილი	_____ ი. ლეჟავა